პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 28 იანვარი, 1943 წ. № 22 (6647). ფასი 20 კაპ.

მაგალითი, რომლის მსგავსი ომების ისტორიას არ ახსოვს

ომი თვეა წითელი არმია შეტევას ანვითარებს. მან ფართო ფრონტზე გაარღვია გერმანელ ფაშისტთა ჯარების თავდაცვა. ხელთ იგდო ინიციატივა, დაამარცხა მტრის ას ორი დივიზია და უდიდესი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს. **„ჩვენმა ჯარებმა ხერიოზული გამარჯვება მოიპოვეს. ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება“,** — ნათქვამია უმაღლესი მთავარსარდლის — ამხანაგ **სტალინის** ბრძანებაში.

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების ხალხებმა უდიდესი აღფრთოვანებით მოისმინეს წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, დონის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, კალინინის, ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ჯარებისადმი, რომელშიაც ამხანაგი სტალინი ამ ფრონტების მებრძოლებს, მეთაურებს, პოლიტმუშაკებს ულოცავს გამარჯვებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე და მათს მოკავშირეებზე—რუმინელებზე, იტალიელებსა და უნგრელებზე სტალინგრადთან, დონზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, ვორონეჟთან, ველიკიე ლუკის რაიონში, ლადოგის ტბის სამხრეთით. ამხანაგი სტალინი მადლობას უცხადებს სარდლობასა და მამაც ჯარებს, რომლებმაც გაანადგურეს ჰიტლერელთა არმიები სტალინგრადის შისადგომებზე, გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა და გერმანელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს მრავალი ქალაქი და ათასობით დასახლებული პუნქტი.

გუშინ მთელმა მსოფლიომ შეიტყო წითელი არმიის ახალი დიდი გამარჯვება—ჩვენმა ჯარებმა ძირითადად დაამთავრეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია. მტრის რჩეული 22 დივიზია ძირითადად განადგურებულია, 200-220 ათასიანი ჯარიდან დარჩა დაქსაქსული და ერთიმეორისაგან იზოლირებული ორი მცირე ჯგუფი, რომელთა საერთო რიცხვი 12 ათას კაცს არ აღემატება. მისი ლიკვიდაცია 2-3 დღის საკითხია. ამგვარად, მტერი, რომელიც არ დაგვნებდა, ძირითადად მოსპობილია.

„ომების ისტორიას არ ახსოვს თანამედროვე სამხედრო ტექნიკით უალრესად აღჭურვილი რეგულარული ჯარების ესოდენ დიდი დაჯგუფების გარშემორტყმისა და მოსპობის მსგავსი მაგალითები“.

მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს წითელი არმიის კოლოსალურ წარმატებებს. წითელი არმიის შეტევაში ისინი ხედავენ უდიდეს დახმარებას გაერთიანებული ქვეყნების სტრატეგიისადმი და ახალი პერსპექტივების გადაშლას 1943 წელს, ჩვენი სტრატეგიული გეგმიანობის შორსმჭვრეტელობას და საფუძვლიანობას, მის განსაცვიფრებელ ეფექტიანობას. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ აუწერელია საბჭოთა ჯარების გმირობა, მათი დარტყმების ძალა, მათი შეიარაღების ძლიერება, სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების გულდასმით შემუშავება და ხელმძღვანელობის ოსტატობა თავიდან ბოლომდე; რომ 1.000 მილზე მეტი სიგრძის ფრონტზე წითელი არმიის კოლოსალური შეტევა შთაგონებული და ორგანიზებულია დიდი **სტალინისა** და მისი ბრწყინვალე თანაშემწეების მიერ; რომ წითელი არმიის შეტევით დადგა „ყველაზე ხელსაყრელი მომენტი, როცა მოკავშირეებმა ევროპის კონტინენტზე უნდა გახსნან მეორე ფრონტი ჰიტლერიზმის სრული მოსპობისათვის.

ჩვენმა გამარჯვებებმა ერთხელ კიდევ დაანახვეს მთელ მსოფლიოს, რომ ომის მკაცრ სკოლაში გამოიწრთო წითელი არმიის მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების სამხედრო ოსტატობა. დიდი სტალინის გენიამ ისინი აღზარდა და დაავაქაცა. სტალინური მითითებებით განხორციელებულ უდიდეს სამხედრო ოპერაციებში თავი გამოიჩინეს ჩვენმა სახელოვანმა გენერლებმა და მეთაურებმა, საბჭოთა კავშირის გმირებმა, სუვოროვის ორდენებით დაჯილდოებულებმა. წითელი არმია, მთელი საბჭოთა ხალხი სიყვარულით მოსავს თავის სახელოვან გენერლებს ვატუტინს, ერემენკოს, როკოსოვსკის, გოლიკოვს, მასლენიკოვს, ტიულენევს, გოვოროვს, მერეცკოვს, ფრონტების სარდლებს, რომელთა ჯარები სპობენ და ანადგურებენ პირსისხლიან გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს.

წითელ არმიას ჰყავს ისეთი სახელოვანი სარდალი, როგორიც არის საბჭოთა კავშირის მარშალი გიორგი კონსტანტინეს-ძე ჟუკოვი, რომელმაც ეს უმაღლესი სამხედრო წოდება პირველმა მოიპოვა სამამულო ომის ფრონტზე. ამ უნიჭიერესი და მამაცი სარდლის ხელმძღვანელობით განხორციელდა სტალინური გეგმა მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებისა. მან, როგორც უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელმა უხელმძღვანელა სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების გარშემორტყმასა და განადგურებას, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. კ. ე. ვოროშილოვთან ერთად იგი ხელმძღვანელობას უწევდა ლენინგრადისა და ვოლხოვის ფრონტების მოქმედების კოორდინაციას ლენინგრადის ბლოკადის გასარღვევად.

სტალინის მიერ აღზრდილ სარდალთა შორის ერთ-ერთი პირველია არტილერიის მარშალი ნ. ნ. ვორონოვი, რომელიც, როგორც უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი, ხელმძღვანელობდა სტალინგრადთან ჰიტლერელთა 22 დივიზიის გარშემორტყმას და განადგურებას. იგი „ომის ღმერთის“ — არტილერიის ჩვენი პირველი მარშალია. საბჭოთა სტრატეგიული აზრის გამოჩენილი წარმომადგენელია არმიის გენერალი ა. მ. ვასილევსკი, რომელიც, როგორც უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა გერმანელთა თავდაცვის გარღვევას სტალინგრადთან, ხოლო შემდეგ ანხორციელებდა ვორონეჟისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების ჯარების მოქმედების კოორდინაციას.

წითელი არმია გამანადგურებლად ურტყამს ფაშისტ ვანდალებს. გერმანიის სარდლობა აქეთ-იქით აწყდება იმის მოლოდინში, თუ კვლავ სად დაარტყამს წითელი არმია. ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევა გრძელდება და მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად მხარს უჭერს, ეხმარება თავის პირმშოს—გმირ წითელ არმიას.

გუშინ თბილისის საწარმო-დაწესებულებებში უდიდესი პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგები, სადაც დამსწრენი გაეცნენ უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ **სტალინის** ბრძანებას და საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაციის ძირითადად დამთავრების შესახებ. ეს მიტინგები მხურვალე საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრ დემონსტრაციად გადაიქცა. თბილისის მშრომელებმა ახალი დამატებითი ვალდებულებები იკისრეს ფრონტის დასახმარებლად, გმირი წითელი არმიის სახელოვანი XXV წლისთავის აღსანიშნავად.

მეტი და მეტი დახმარება შემეტევ წითელ არმიას! ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!

ამ საბრძოლო ლოზუნგების პრაქტიკული განხორციელებით უპასუხებს მთელი საბჭოთა ხალხი წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებებს ფრონტზე!

ლენინ-სტალინის დროშით, დიდი **სტალინის** უმაღლესი მთავარსარდლობით წინ, გერმანელი ოკუპანტების გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მათ განსადევნად!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რსფს რესპუბლიკის შემადგენლობაში კემეროვოს ოლქის შექმნის შესახებ

დამტკიცდეს რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება კემეროვოს ოლქის შექმნის შესახებ, რომლის ცენტრად ჩაითვალოს ქალაქი კემეროვო.

კემეროვოს ოლქში შევიდეს: ქალაქები კემეროვო, სტალინსკი, პროკოპიევსკი, ანჟერო-სუჯენსკი, ბელოვო, კისელიოვსკი, ლენინსკ-კუზნეცკი, ოსინნიკი, ტაიგა და რაიონები: ანჟერო-სუჯენსკის, ბარზასის, ბელოვის, გუერიევსკის, ზირიანსკოეს, იუმორსკოეს, კემეროვოს, კისელიოვსკის, კრაპივინოს, კუზედეევის, კუზნეცკის, ლენინსკ-კუზნეცკის, მარიინსკის, მისკის, პროკოპიევსკის, ტაშტაგოლის, ტისულის, ტიტოვსკის, ტოპკის, ტიაჟინის, ჩებულინის, ურგის და იაშკინის, რომელნიც გამოყოფილ იქნან ნოვოსიბირსკის ოლქიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 26 იანვარი.

მოსკოვი ღღეს

დამთავრდა მოსკოვის მეტროპოლიტენის მე-3 რიგის მშენებლობა.

სურათზე: სადგური „სტალინის სახელობის ქარხანა“.

ფოტო მ. ტრახმანისა (საკავშირო ფოტო-ქრონიკა).

მოსკოვი. კრემლი

თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ სტალინს

ლენინგრადის ფრონტის ჯარების მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა 46.100.000 მანეთი შეიტანეს ტანკების, თვითმფრინავებისა და სხვა საჭურვლის ასაგებად. სახსრების შემოტანა გრძელდება. ჩვენი ფრონტის ჯარებს, რომელნიც აღფრთოვანებულნი არიან წითელი არმიის საბრძოლო წარმატებებით სამამულო ომის ფრონტებზე, რომლებმაც გაარღვიეს მტრის ბლოკადა ლენინგრადის გარშემო და კვლავ ულმობლად ყლეტენ საზიზღარ მტერს შეუპოვარ ბრძოლებში, სიხარულით შეაქვთ თავიანთი დანაზოგი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის და წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ლენინგრადის დამცველები მზად არიან ყველაფერი გააკეთონ, რათა მთელ წითელ არმიასთან ერთად, თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით საბოლოოდ გასწმინდონ თავიანთი მშობლიური მიწა-წყალი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

გისურვებთ ძალსა და ჯანმრთელობას მრავალ წელს, ჩვენო ძვირფასო ბელადო და წითელი არმიის საყვარელო მხედართმთავარო ამხანაგო სტალინ.

ლ. გოვოროვი
ა. ჟდანოვი
ტ. შტიკოვი
ნ. სოლოვიოვი
კ. კულიკი.

ლენინგრადის ფრონტი

ამხ. გოვოროვს, ჟდანოვს, შტიკოვს, სოლოვიოვს, კულიკს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ლენინგრადის ფრონტის ჯარების მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 46.100.000 მანეთი შეაგროვეს წითელი არმიისათვის ტანკების, თვითმფრინავებისა და სხვა საჭურვლის ასაგებად.

ი. სტალინი

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი. ამხანაგებს ბელინს, ანდრეევს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა გვარდიელ მებრძოლთ, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომელთაც 456.426 მანეთი შეაგროვეს გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის ასაგებად და 328.329 მანეთი—საზენიტო ბატარიის ასაგებად.

ი. სტალინი

ავიაციის გენერალ-მაიორ ხუდიაკოვს, პოლკოვნიკ ღიგვინენკოს, პოლკოვნიკ დუნნოვსკის

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ნ საჰაერო არმიის მფრინავებს, ტექნიკოსებს, მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებმაც 2.700.000 მანეთი შეაგროვეს თვითმფრინავთა ესკადრილიის „სტალინური პილოტის“ ასაგებად.

ი. სტალინი

არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ამხ. ჟერავლიოვს, გენერალ-მაიორ ამხ. გრიგორენს, პოლკოვნიკ ამხ. ნოვაეევს, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. პრონინს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა საჰაერო თავდაცვის მოსკოვის ფრონტის ნაწილების შებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 9.529.683 მანეთი შეაგროვეს საავიაციო შენაერთ „მოსკოვის“ ასაგებად.

ი. სტალინი

ნ ნაწილი. პოდპოლკოვნიკ ამხ. აღექსანდროვსკის

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა საავიაციო ნაწილის პირად შემადგენლობას, რომელმაც 500.000 მანეთი შეაგროვა თვითმფრინავთა ასაგებად.

ნაწილის პირადი შემადგენლობის სურვილი შესრულებულ იქნება.

ი. სტალინი

ჟურნალის ოლქის პარტიზანებს

გმადლობთ, ამხანაგო პარტიზანებო, წითელ არმიაზე ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

ამხანაგებს გრომადინს, ანგოფცევს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა ჩვენი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ჯარების მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 27.862.000 მანეთი შეაგროვეს, სსრ კავშირის საჰაერო თავდაცვის ტექნიკის ასაგებად.

ი. სტალინი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს მიხეილ ალექსანდრეს-ძე პავლოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

შავი მეტალურგიისა და საბჭოთა მეტალურგების კადრების აღზრდის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით, აკადემიკოსი მიხეილ ალექსანდრეს-ძე **პავლოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 21 იანვარი.

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოსათვის ბრძოლებში გულადობის გამოჩენისათვის, სიმტკიცისა, მამაცობისა, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის გარდაქმნილი არიან:

293-ე მსროლელი დივიზია გვარდიის 66-ე მსროლელ დივიზიად.

დივიზიის მეთაური — გენერალ-მაიორი პავლე ფილიპეს-ძე **ლაგუტინი.**

304-ე მსროლელი დივიზია გვარდიის 67-ე მსროლელ დივიზიად.

დივიზიის მეთაური — პოლკოვნიკი სერაფიმე პეტრეს-ძე **მერკულოვი.**

გარდაქმნილ დივიზიებს ეძლევათ გვარდიის დროშები.

ავაგოთ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველოს“

თბილისის საწარმოებში

5 ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა, აღფრთოვანებულებმა დიდი ბელადის — ამხანაგ **სტალინის** საოცარ-ბრო მოხსენებითა და ჩვენი გმირი წითელი არმიის წარმატებითი შეტევით, საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებ ფონდში შეაგროვეს 20.300 მანეთი. ქარხნის დირექტორმა ამხ. მელაძემ ავიაესკადრილიების ასაგებ ფონდში შეიტანა 1.000 მანეთი, ტექნიკურმა დირექტორმა ამხ. იზიუმსკიმ და ქარხკომის თავმჯდომარემ ამხ. ჯაფარიძემ — ხუთასხუთასი მანეთი, პარტბიუროს მდივანმა ამხ. გრიგორიევმა — 400 მანეთი.

გ. ოგბიაძე

• • •

ხორცკომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა შეაგროვეს და სახბანკის განყოფილებაში შეიტანეს 49.415 მანეთი.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის ნავთლუღის კვანძის მუშა-მოსამსახურეებმა შეაგროვეს 51.000 მანეთი.

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში შეგროვებულია და სახბანკის განყოფილებაში შეტანილია 43.000 მანეთზე მეტი

ქვემო-სვანეთის კოლმეურნეთა შორის

ქვემოსვანეთის რაიონის მშრომელები პატრიოტული აღმავლობით აგროვებენ თანხებს ავიაესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად. სოფ. ჩუჟულის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შარდელონიანმა თავისი დანაზოგიდან 15.000 მანეთი შეიტანა, სოფ. დეკოსანიდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. ონიანმა — 20.000 მანეთი, სოფ. ლეჭურის ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ამხ. ტ. ფულარიანმა — 15.000 მანეთი, გობნაცულის კოლმეურნეობის წევრმა ამხ. ბაკურაძემ — 10.000 მანეთი, სოფ. მეზეცის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ონიანმა — 5.000 მანეთი, სოფ. ჭველიერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ხაბულიანმა — 3.000 მანეთი და სხვ. თანხების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ქვემო-სვანეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ბ. ჩაგელიშვილი

ფოთი. 2.250.000 მანეთი

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად თავიანთი [illegible] 26 [illegible] ტანეს 2.250.000 მანეთი.

აქედან რაიონის 110-მა კოლმეურნემ შეიტანა ათასათა ათასი მანეთი, სულ 1.100.000 მანეთი.

სახსრების შეგროვება განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა ბორითის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობების წევრთა შორის (საბჭოს თავმჯდომარე თხელიძე). აქ შეგროვებულია 213.000 მანეთი; ხევის (საბჭოს თავმჯდომარე ნოზაძე) — 193.000 მანეთი, წიფის (საბჭოს თავმჯდომარე ხაჩიძე) — 150.000 მანეთი, ბაბის (საბჭოს თავმჯდომარე ჭყოიძე) — 126.000 მანეთი, ხურეეის (საბჭოს თავმჯდომარე გოგოლაძე)—125.000 მანეთი, კიცხის (საბჭოს თავმჯდომარე მესხი) — 125.000 მანეთი, წყალაფორეთის (საბჭოს თავმჯდომარე დვალი) — 122.000 მანეთი, ზვარის (საბჭოს თავმჯდომარე კიკნაძე) — 122.000 მანეთი.

წიფის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ხაჩიძემ შეიტანა 10 ათასი მანეთი, სადგურ წიფის ლინდაგის მუშამ ონისიმე გუდაძემ — 10 ათასი მანეთი. სახსრების შეგროვება წარმატებით გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ს. საყვარელიძე

წითელი არმიის დასახმარებლად

სახელოვანი წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად სიღნაღის რაიონის მშრომელებმა ავიაესკადრილიების აგების ფონდში შეიტანეს 1.746.000 მანეთი. თანხების შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი ალავერდაშვილი

2.000.000 მანეთი

ოჩამჩირე (ტელეგრაფით). ოჩამჩირის რაიონის მშრომელებმა 27 იანვრისათვის საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებ ფონდში შეიტანეს 2.000.000 მანეთი. ქვიტოულის სოფლისაბჭოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. პლატონ მიქავამ შეიტანა 70.000 მანეთი, ოხურეის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ცირამუამ—6.000 მან. თანხების შეგროვება გრძელდება.

ოჩამჩირის რაიონული გაზეთის redაქცია

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად

აძლიერებენ ქვანახშირის ამოღებას

ტყიბული („კომუნისტის“ კორ.). გმირი წითელი არმიის გამარჯვებებს ტყიბულის მაღაროელები და მეშახტენი ქვანახშირის ამოღების გადიდებით უპასუხებენ. წითელი არმიის XXV წლისთავისადმი მიძღვნილი სოცშეჯიბრება განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სტალინის მაღაროში, აღმოსავლეთ შახტში, გელათისა და ლენინის მაღაროებში.

18 იანვარს ლენინის მაღაროს დღიური დავალების შესრულებას გადააჭარბა 1 პროცენტით, სტალინის მაღაროს—6 პროცენტით, აღმოსავლეთის შახტმა—13 პროცენტით, ხოლო გელათის მაღაროს—14 პროცენტით.

გელათის მაღაროში მეორე საექსპლოატაციო უბანმა ინჟინერ ანდრო ჩიქოვანის ხელმძღვანელობით ქვანახშირის ამოღების 15 დღის გეგმა 128 პროცენტით შეასრულა. ამ მაღაროში კოსტა, გედეონ და არსენ ცნობილაძეებმა მთელი თვის გეგმა 15 დღეში შეასრულეს.

ლენინის მაღაროს ქვანახშირის მნგრეველები და მტვირთავები ა. დარსაძე, ი. გდერიძე, პ. ფანჩულიძე, კ. ესაიაშვილი და ათობით სხვები იანვრის პირველი დღეებიდანვე სისტემატურად ორ-ორ ნორმაზე მეტს აძლევენ.

დ. საბელაშვილი

ზესტაფონელი მეგალურგები წარმატებით ხვდებიან სახელოვან თარიღს

ზესტაფონი („კომუნისტის“ კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საამქროებში დღეღამ მუშაობენ, რათა ახალი გამარჯვებებით აღნიშნონ წითელი არმიის სახელოვანი XXV წლისთავი. მარგანეცის საამქროში წარმატებით ანაღდებენ ვალდებულებას — 23 თებერვლისათვის შეასრულონ იანვარ-თებერვლის გეგმა, 5 პროცენტით შეამცირონ ლითონის თვითღირებულება, 5 პროცენტით დაზოგონ ელექტროენერგია. ამ საამქროს კოლექტივი წარმატებით მუშაობდა გასულ წელსაც, მან ლითონის გამოდნობის წლიური გეგმა 119,8 პროცენტით შეასრულა და 295.165 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგა. კიდევ უფრო თავდადებულად მუშაობენ იანვარში. იანვრის პირველ ნახევარში მცირენახშირბადიანი სილიკომარგანეცის გამოდნობის დავალება 136 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მეტალური მარგანეცის გამოდნობისა — 144 პროცენტით. ამავე დროს 30.000 კილოვატსაათ ენერგიაზე მეტი დაზოგეს. საგრძნობი რაოდენობით არის დაზოგილი აგრეთვე მარგანეცი, კირი, სილიკომარგანეცი. ეს წარმატებები მოპოვებულია ალ. სვანიძის, ელ. წასიძის, ვ. დვალის, ალ. ალეიკოს, ალ. ბოგვერაძის, ს. ძიგრაშვილის, პ. სლობოდინის და სხვ. თავდადებული მუშაობით, ინჟინერების ბ. ლომათიძისა და ს. თაგზარაშვილის წინადადებათა განხორციელებით.

დიდი წარმატებით მუშაობს № 4 საამქროც. აქ დოცენტ რ. აღლაძის ხელმძღვანელობით, პირველად საბჭოთა კავშირში, ათვისებულ იქნა ერთი სპეციალური შენადნობი. ახლა ამ შენადნობს მასობრივად უშვებენ და ყოველდღიურ დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებენ.

იანვარში განსაკუთრებით დაწინაურდნენ პირველი და მეორე ღუმელები. პირველმა იანვრის 15 დღის დავალება 120,3 პროცენტით, ხოლო მეორემ — 129,4 პროცენტით შეასრულა. მეომრის თავდადებით მუშაობენ მეტალურგები ამხ. გ. კეცაძე, ბ. გამგებელი, ს. კოსოვი, ტ. გველესიანი, გ. ბოგვერაძე, ივ. კოვზირიძე, ლ. ნებიერიძე, ივ. გიორგაძე და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საამქროს კოლექტივმა უფრო ეკონომიურად უნდა ხარჯოს ელექტროენერგია.

ზესტაფონელ მეტალურგებს შეუძლიათ მეტი გააკეთონ ფრონტის დასახმარებლად, წითელი არმიის XXV წლისთავის შესახვედრად.

პ. ფიოლაძე

უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებამ და სტალინგრადის რაიონში წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებამ ახალი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია

ბელადის ბრძანებით აღფრთოვანებულნი

27 იანვარს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანაში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე შეკრებილები დაძაბული ყურადღებით გაეცნენ უმაღლესი მთავარსარდლის—ამხანაგ **სტალინის** 25 იანვრის ბრძანებასა და საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას ჩვენი ჯარების მიერ სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაციის ძირითადად დამთავრების შესახებ.

სიტყვებით გამოსული სტახანოველი მუშები თავიანთ აღტაცებას გამოსთქვამდნენ საბელოვანი წითელი არმიის ამ უდიდესი გამარჯვების გამო და პირობას სდებდნენ, რომ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებასა და წითელი **არმიის** ამ მორიგ გამარჯვებას ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ.

ქარხნის ცნობილმა სტახანოველმა ზინკალმა ჯლანტარაშვილმა თავის სიტყვაში განაცხადა:—უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებისა და წითელი არმიის მორიგი გამარჯვების სასახელოდ ვალდებულებად ვკისრულობ საწარმოო დავალება 250 პროცენტის ნაცვლად 300 პროცენტით შეგასრულო.

ძლევამოსილი წითელი არმია, რომლის რიგებშიც ჩემი ოთხი ძმა იბრძვის, — სთქვა ზეინკალმა ათანასოვმა,— მუსრს ავლებს საზიზღარ ჰიტლერელებს. სრულდება დიდი ბელადის ნათქვამი: ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული! ამ დღესასწაულის დასაჩქარებლად ჩვენ გავაორკეცებთ ენერგიას, დაუღალავად გავზრდით შრომის ნაყოფიერებას, შევამცირებთ პროდუქციის თვითღირებულებას.

მიტინგზე მგზნებარე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ ავტოეთე ამწყობი საამქროს სტახანოველი ტუზოვი, საორთქლმავლო საამქროს სტახანოველი ბაბაევი და სხვები.

მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ბელადის სახელობის ქარხნის კოლექტივი, უმაღლესი მთავარსარდლის — ამხანაგ **სტალინის** ბრძანებითა და წითელი არმიის მიღწევებით აღფრთოვანებული, კისრულობს, თებერვლის გეგმა შეასრულოს წითელი არმიის XXV წლისთავისათვის. ყველაფერი გაკეთოს ვერაგი მტრის — ჰიტლერელი ბარბაროსების სრული განადგურების დასაჩქარებლად.

წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებები

გუშინ თბილისის № ქარხანაში შესვენების დროს ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი. პარტიიროს მდივანმა ამხ. ლ. გრიგორიევმა დამსწრეთ გააცნო უმაღლესი მთავარსარდლის **ი. სტალინის** ბრძანების ტექსტი და საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა „უკანასკნელ საათს“.

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ამ ცნობას ქარხნის კოლექტივი.

შემკეთებელი საამქროს ზეინკალმა ამხ. მ. პოლოსოვმა აღნიშნა, რომ გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებების პასუხად კიდევ უფრო გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

ასეთივე მხურვალე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ი. პონიროვსკი, ო. ბაბანი, ნ. რასტი, ბ. შეკელაშვილი და სხვ., რომლებმაც აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი შემტევი წითელი არმიის დასახმარებლად.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ უმაღლესი მთავარსარდლის **ი. სტალინის** ბრძანებისა და ჩვენი გმირი წითელი არმიის წარმატებების პასუხად კიდევ უფრო უკეთესად იმუშავებენ თავდაცვითი პროდუქციის გამოშვების გეგმის მაღალხარისხოვნად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, კერძოდ სპეცპროდუქციის 20 პროცენტით მეტს გამოუშვებენ.

გამოუშვებთ მეტ პროდუქციას

ქარხანაში, სადაც დირექტორად არის ამხ. პ. კანკავა, ჩატარდა მიტინგი, რომელზეც საამქროს უფროსმა ამხ. ვ. კაპანაძემ დამსწრეთ გააცნო უმაღლესი მთავარსარდლის **ი. სტალინის** 25 იანვრის ბრძანება და საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა ჩვენი ჯარების მიერ სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაციის ძირითადად დამთავრების შესახებ.

მგზნებარე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს სამოქალაქო ომის მონაწილემ, სტახანოველმა ამხ. ნ. პირიაშვილმა, საამქროს უფროსმა ვ. კოკანოვმა, სტახანოველმა ბ. ბრატიკოვსკიმ და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ გერმანელ ფაშისტთა რჩეული 22 დივიზიის ლიკვიდაციის ძირითადად განხორციელება წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებაა.

— ჩვენი ამოცანაა,—განაცხადა ამხ. კოკანოვმა,—მზარდი დახმარება გავუწიოთ გმირ წითელ არმიას, რათა საბოლოო გადავუტეხოთ ხერხემალი გამბეცებულ ფაშიზმს. ამხანაგ სტალინის ბრძანების საპასუხოდ ჩვენი საამქრო ვალდებულებას იღებს გადაჭარბებით შეასრულოს თებერვლისა და პირველი კვარტალის გეგმები.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის მუშაკები ვალდებულებას კისრულობენ ახალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნონ წითელი არმიის სახელოვანი იუბილე—XXV წლისთავი და მისცენ ფრონტს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია ფაშისტი ოკუპანტების საბოლოო განადგურებისათვის.

გ. ნიკოლაუშვილი

სტალინგრადთან წითელი არმიის გამარჯვება ომების ისტორიაში უმაგალითო გამარჯვებაა

27 იანვარს შესდგა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, მიძღვნილი უმაღლესი მთავარსარდლ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 იანვრის დილის ცნობა

26 იანვრის ღამის განმავლობაში **სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, ოლხოვისა** და **ლენინგრადის** ფრონტების ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებით.

* * *

დონის ფრონტის ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ნაშთების ლიკვიდაციისათვის. 6 ნაწილის მებრძოლებმა სავსებით გასწყვიტეს გერმანელთა 669-ე ქვეითი პოლკის ქვეგანაყოფები და შტაბი. სრული შემადგენლობით დაგვნებდა ტყვეთ გერმანელთა 534-ე ქვეითი პოლკი.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას და ძალთა ნაწილით იგერიებდნენ მტრის კონტრიერიშებს. 6 გვარდიის ნაწილმა გერმანელები განდევნა დასახლებული პუნქტიდან და ხელთ იგდო 3 თვითმფრინავი, 4.000 ავიაბომბი, 400 კასრი ბენზინი, 37 ქვემეხი, 54 ტყვიამფრქვევი, 24 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 5 საზიდარი, ბევრი სურსათი და სხვა დაკელი. ტყვედ წამოყვანილია 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიში და გასწყვიტეს გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სამხრეთის ფრონტზე 6 ნაწილის მებრძოლებმა დასახლებული პუნქტისათვის სასტიკ ბრძოლაში გასწყვიტეს 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დაიჭიანეს მტრის 2 ტანკი. სხვა უბანზე ჩვენმა მსროლელმა შენაერთმა გასტეხა გერმანელთა წინააღმდეგობა და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავა. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა.

* * *

ვორონეჟის ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ. მტრის დამარცხებული ნაწილების რამდენიმე გარშემორტყმულმა ჯგუფმა სცადა დასავლეთისაკენ გაჭრილიყო. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მტერმა იარაღი დაჰყარა. ტყვედ წამოყვანილია 1.463 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე 6 შენაერთმა დაიკავა რამდენიმე დასახლებული პუნქტი. წამოღებულია დიდი დავლა.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 შენაერთის ნაწილების მიერ არმავირის რაიონში წამოღებულია შემდეგი დავლა: 200-მდე ქვემეხი, 137 ნაღმსატყორცნი, 127 ტყვიამფრქვევი, 2.000 შაშხანა, 229 ავტომატი, 263 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 2.000 ყუმბარა, 8.000 ავიაბომბი და 2 საწყობი ავიაბომბები, 100.000 ვაზნა და რამდენიმე საწყობი სამარო მასალიანად და სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად. სხვა უბანზე საბჭოთა ტანკისტებმა გაანადგურეს გერმანელთა ბატალიონი. ბრძოლის ველზე დათვლილია 400-მდე მტრის გვამი. ტყვედ წამოყვანილია 120 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში მოქმედმა სამმა პარტიზანულმა რაზმმა იანვრის შუა რიცხვებში ერთდროულად მიიტანა იერიში მტრის გარნიზონებზე სამ დასახლებულ პუნქტში. საბჭოთა პატრიოტებმა გასწყვიტეს მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 5 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი, 2 რადიოსადგური, საპროეექტორო დანადგარი, აფეთქეს და დასწვეს რამდენიმე საწყობი სამარო მასალიანად და სურსათიანად.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი ვორონეჟის ოლქის სადგურ გარტმაშევკაში გერმანელ ფაშისტ არამზადათა სისხლისმღვრელი ბოროტმოქმედების შესახებ: „გერმანელებმა უკანდახევის წინ საერთო საცხოვრებელში შერეკეს რკინიგზის მუშების ჯგუფი ცოლ-შვილიანად და მზეცურად გაუსწორეს მათ ანგარიში. ჰიტლერელმა ჯალათებმა მოჰკლეს სიგნალისტი დმიტრი კოსოგოვი, მისი ცოლი, ორი ქალიშვილი და შვილიშვილები—სამი წლის ნიკოლოზი და წლინახევრის ვალენტინა; სიგნალისტი პეტრე ტკაჩევი, მისი ცოლი და ვაჟი; სიგნალისტი თეოდორე ჩესნოკოვი, მისი ცოლი და ოთხი წლის ქალიშვილი. სადგურ გარტმაშევკის მშვიდობიან მცხოვრებთა მეორე ჯგუფი 20 კაცის რაოდენობით ფაშისტმა ურჯულოებმა რკინიგზის ჯიხურში შერეკეს და დახვრიტეს". აქტს ხელს აწერენ: ლ. გონჩაროვი, ო. სლოუსარევა, ე. იანგოლენკო, ჰ. კოროლევა, ე. შევცოვა და სხვები.

27 იანვრის საღამოს ცნობა

27 იანვარს **ვორონეჟის** ფრონტის ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის დიდი სადგური **გორშეჩნოე**, დიდი დასახლებული პუნქტები — **ბერეზოვო-კოლოდეზი, სტარო-მელოვოე, ნოვო-მელოვოე, გოროდიშჩე 1-ლი და 2-ე.**

სამხრეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი **ეგორლიკსკაია** და რკინიგზის სადგური **ატამანი.**

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური **ნოვო-ალექსანდროვსკაია,** დიდი დასახლებული პუნქტები — **სრედნი ეგორლიკი, რასშევატსკაია, გრიგორიპოლისკაია, ოტრადო-ოლგინსკოე** და რკინიგზის სადგური **გრიგორიპოლისკი.**

ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი **ნეფტეგორსკი** და რაიონული ცენტრი **აშერონსკაია.**

* * *

26 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 150-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 10 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, აიფეთქეს სამარო მასალათა 6 საწყობი და საწყობი საწვავიანად, გაჩეხეს ტყე და ნაწილობრივ მოსპეს მტრის 2 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

დონის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ მტრის დაჭაჭული ჯგუფების ელიტას. სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის ახლოს 6 ნაწილის მებრძოლებმა ტყვედ წამოიყვანეს 1.350 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მეზობელ უბანზე იარაღი დაჰყარა 2.000-მა ჰიტლერელმა, მათს რიცხვში გერმანიის კავშირგაბმულობის სპარმიო პოლკის მეთაურთან ერთად. სტალინგრადის ჩრდილოეთით ჩვენი მებრძოლები ელიტდნენ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ცალკეულ ჯგუფებს.

* * *

სამხრეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას, ხოლო ძალთა ნაწილით იგერიებდნენ მტრის კონტრიერიშებს. 6 შენაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს, მათს რიცხვში ეგორლიკსკაია. ეგორლიკსკაიასათვის ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა 3 ტანკი და გაწყვეტილია 1 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე მტრის დიდძალმა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა კონტრიერიში მოიტანეს. სასტიკი ბრძოლის შედეგად მტერი უკუგდებულ იქნა პირვანდელ პოზიციებზე. დამწვარია გერმანელთა 9 ტანკი და მოსპობილია 3 თვითმავალი ქვემეხი. მტერს მძიმე ზარალი მოევლინა ცოცხალი ძალის მხრივ.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით. ბელოკურაკინოს დასავლეთით 6 შენაერთმა წინ წაიწია და 10 დასახლებული პუნქტი დაიკავა. ერთი დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლაში გერმანელებმა კონტრიერიშზე გამოუშვეს ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი და 10 ტანკი. ბრძოლა ცვლებადი წარმატებით სწარმოებდა. ჩვენმა ნაწილებმა დღის ბოლოსათვის მოჰქანცეს გერმანელები, გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ და დაიკავეს **ეს** დასახლებული პუნქტი.

* * *

ვორონეჟის ფრონტის ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით. ვარვაროვკა-შილიაკინოს რაიონში ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ტყვედ დაგვნებდა მტრის გარშემორტყმული ჯგუფი 5.000 ჯარისკაცისა და ოფიცრის რაოდენობით. ოფიცერთა შორის, რომელთაც იარაღი დაჰყარეს, არიან პოლკოვნიკი, ორი მაიორი და კაპიტანი. სხვა უბანზე გვარდიის ნაწილებმა წინ წაიწიეს, სამი დასახლებული პუნქტი დაიკავეს და 400-მდე ჰიტლერელი გასწყვიტეს. ხელთ ვიგდეთ ტანკი, 3 ტანკეტი, 11 ქვემეხი, 18 ტყვიამფრქვევი, საწყობი სანაოენრო ქონებიანად და საწყობი სურსათიანად.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და განდევნეს გერმანელები მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. 6 ნაწილის მებრძოლებმა მტერთან ერთი დღის ბრძოლის განმავლობაში ხელთ იგდეს 9 ტანკი, 26 ავტომანქანა, 11 ქვემეხი, ბევრი ტყვიამფრქვევი, ავტომატი, შაშხანა და სამარო მასალა. ტყვედ წამოყვანილია 90 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე გვარდიელმა კავალერისტებმა რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს და ხელთ იგდეს დიდი დავლა.

* * *

იმ რაზმის პარტიზანები, რომელიც კალინინის ოლქში მოქმედებს, თავს დაესხნენ მტრის ავტოკოლონას. საბჭოთა პატრიოტებმა მოსპეს გერმანელთა 18 ავტომანქანა ტვირთიანად და გასწყვიტეს 137 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დავლა. სხვა რაზმის პარტიზანებმა ერთს დასახლებულ პუნქტში მტრის გარნიზონთან ბრძოლაში 45 გერმანელი ჯარისკაცი დახოცეს. თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით პარტიზანებმა ჩამოაგდეს გერმანელთა თვითმფრინავი.

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები ანგრევენ უკრაინის ქალაქებსა და სოფლებს, და ელიტენ მშვიდობიან მოსახლეობას. 1942 წლის დეკემბერში ჰიტლერელებმა დასწვეს ეტოფირის ოლქის დაბები და სოფლები: სლავეჩნო, რუდნია, ტხორინ ბეგუნი, გოროდეცი, რუდნია-სირნიცა, იუროვო, ხორინი და ნერგა. გოროდეცში გერმანელებმა მოსპეს 180 სახლ-კარი, სოფელ ლუჩრნეში—250 სახლ-კარი, სლავეჩნოში—307 სახლ-კარი. სოფელ რუდნია-სირნიცაში ჰიტლერელმა ჯალათებმა ფარდულში შერეკეს 40 ადგილობრივი მცხოვრები და ცოცხლად დასწვეს. სორინში ფაშისტმა ჯალათებმა მხეცურად დახოცეს: დიმიტრი დუბროვეცი 55 წლისა, თეოდორე იგნატიუკი 60 წლისა, მარიამ მელნიკი 70 წლისა, აგრიპინა გავრილოვა 18 წლისა და სხვა კოლმეურნეები.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური �jეზ და ნოვი შეხერი. ხელთ იგდეს დავლა: 7 დაზგის ტყვიამფრქვევი, 200 შაშხანა, 100.000 ვაზნა, ჯავშნიანი მატარებელი, 60 ვაგონი და სხვა სამხედრო ქონება. ბრაგაცის, ლოვინცისა და გოსპიჩის რაიონში იუგოსლავიელმა პატრიოტებმა მოიგერიეს იტალიელ ოკუპანტთა რამდენიმე იერიში. მტერთან ბრძოლაში პარტიზანებმა ხელთ იგდეს 2 ვარგისი ტანკი და სხვა დავლა.

მგრის ფანდი გამოიცნეს

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორეს პონდენტისაგან)

ერთ-ერთ საფრონტო გაზეთში მოთავსებულია წერილი სათაურით „მგრის ფანდი გამოიცნეს", რომელშიც მოთხრობილია სერჟანტ ფრუიძის სიმამაცეზე:

„ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე სერჟანტ ფრუიძის პოეული ხიდის მისადგომებს იცავდა. ფრუიძე ფხიზლად ადევნებდა თვალყურს გზას. უცბად მან შეამჩნია ქალების ჯგუფი, რომლებსაც ზურგზე ტომრები და ფუთები ეკიდათ და ხიდისაკენ მოემართებოდნენ. ფრუიძემ ათეულს უბრძანა მომზადებულიყო, თვითონ კი ბუჩქნარებში გზის ნახარს გაჰყვა, დროდადრო გადარბენით გასცდა ხიდს, ბუჩქებში ჩაწვა, ხელტყვიამფრქვევი დადგა და დაიწყო თვალთვალი. ქალები ახლოვდებოდნენ. ფრუიძეს საეჭვოდ ეჩვენა, რომ ქალები დიდი, მტკიცე ნაბიჯით მოდიოდნენ. უფრო ყურადღებით რომ დაკვირდა, შეამჩნია, რომ ტომრებიდან და ფუთებიდან ავტომატებსა და ხელტყვიამფრქვევებს ლულები გამოეყოთ. ფრუიძემ სწრაფად გამოიცნო შენიღბული მტრის ვერაგული განზრახვა, ხშირი სროლა ასტეხა და 30 გადაცმული ჰიტლერელი მოსცელა. ამრიგად, სერჟანტ ფრუიძის სიფხიზლისა და მოსაზრებულობის მეოხებით მტრის ფანდი გამოცნობილ იქნა და ჩაიშალა".

ვ. უარა-ეურზა

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ჯარების შეტევა ტრიპოლიტანიაში

ლონდონი, 27 იანვარი (საკდესი). შტაბი საფრანგეთის ჯარებისა, რომლებსაც გენერალი ლეკლერკი სარდლობს, გადმოგვცემს, რომ ლეკლერკის მოწინავე ნაწილები გუშინ ტრიპოლში შეეიდნენ.

ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ 25 იანვარს ინგლისის მოწინავე ნაწილებმა წინ წაიწიეს ტრიპოლის დასავლეთით არა მარტო სანაპირო გზით, არამედ ფრონტის სხვა უბნებზეც. მონტგომერის ჯარები, რომელნიც წინ მიიწევენ ტრიპოლის დასავლეთით, ისეთსავე სიძნელეებს აწყდებიან, როგორიც მათ ტრიპოლის აღებამდე გამოსცადეს. მათ უხდებათ დანაღმულ გზებზე გავლა, ამასთან ეს გზები ბევრ ადგილას დანგრეულია. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის ავიერგარდები მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევენ ინგლისის ჯარებს.

მოკავშირეთა ავიაცია ძლიერ ბომბავს მოწინააღმდეგის საავიაციო ბაზებს მედენინსა და ბენ-გარდანში იმ მიზნით, რომ ამ ბაზების ნეიტრალიზება მოახდინოს, მოსპონ ღერძის სახელმწიფოთა მოწინავე ასაფრენი მოედნები და ააცილოს ტრიპოლის ჰაერიდან მოსალოდნელი საფრთხე.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ კასტელ ბენინოს დაკავებისას მერვე არმიამ ხელთ იგდო ღერძის სახელმწიფოთა 200 თვითმფრინავი. აქედან 30 თვითმფრინავის გამოყენება დაუყოვნებლივ შეიძლება.

ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრა ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 27 იანვარი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური კომუნიკე იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუზველტი ერთმანეთს შეხვდნენ ორივე ქვეყნის შტაბების უფროსებთან და სხვა მრჩეველებთან ერთად; შეხვედრა მოხდა კასაბლანკის მახლობლად (საფრანგეთის მაროკო). კომუნიკეში ნათქვამია:

„ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კასაბლანკის ახლოს თათბირობდნენ 14 იანვრიდან. მათ ახლდა ორივე ქვეყნის შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფი, სახელდობრ: ამერიკის შეერთებული შტატებიდან: გენერალი ჯორჯ მარშალი—ამერიკის არმიის შტაბის უფროსი, ადმირალი კინგი—ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი, გენერალ-ლეიტენანტი არნოლდი—ამერიკის არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი და დიდი ბრიტანეთიდან: ფლოტის ადმირალი სერ დადლი პაუნდი — საადმირალოს პირველი ლორდი, გენერალი სერ ალან ბრუკი—იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი, ავიაციის მთავარი მარშალი სერ ჩარლზ პორტალი—საჰაერო ძალების შტაბის უფროსი. როგორც მათი თანაშემწეები ესწრებოდნენ: გენერალ-ლეიტენანტი სომერველი—ამერიკის არმიის საინტენდანტო სამსახურის უფროსი, ფელდმარშალი სერ ჯონ დილი—მეთაური ინგლისის გაერთიანებული მისიისა ვაშინგტონში, ვიცე-ადმირალი ლორდ ლუის მაუნტბეტენი—სადესანტო ოპერაციების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი სერ ჰასტინგს ისმეი—თავდაცვის მინისტრთან არსებული შტაბის უფროსი, აგრეთვე ორივე ქვეყნის მთელი რიგი შტაბის ოფიცრები. მათ სადარბაზოდ ეწვივნენ ბ-ნი მერფი და ბ-ნი მაკმილანი, გენერალი ეიზენჰაუერი — მთავარსარდალი მოკავშირეთა საექსპედიციო ძალებისა ჩრდილოეთ აფრიკაში, ფლოტის ადმირალი სერ ენდრიუ კუნინგჰემი—სარდალი მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო საექსპედიციო ძალებისა ჩრდილოეთ აფრიკაში, გენერალი სპაატსი—სარდალი მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების ავიაციისა ჩრდილოეთ აფრიკაში, ამერიკის არმიის გენერალი კლარკი; შუა აღმოსავლეთის შტაბიდან ისინი ინახულეს გენერალ სერ ჰაროლდ ალექსანდერმა, ავიაციის მარშალმა სერ არტურ ტედერმა და ამერიკის არმიის გენერალ-ლეიტენანტმა ენდრიუსმა.

პრეზიდენტს ახლდა ბ-ნი ჰარი ჰოპკინსი, და მათ შეუერთდა ბ-ნი ავერელ ჰარიმანი. პრემიერ-მინისტრს ახლდა ლორდი ლუზერსი—ინგლისის ომიანობის დროის ტრანსპორტის მინისტრი. ათი დღის განმავლობაში გაერთიანებულ შტაბებს განუწყვეტელი სხდომები ჰქონდათ, ერთმანეთს ხვდებოდნენ ორ-ორ თუ სამ-სამჯერ დღეში, ამასთან შესვენების დროს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს მოახსენებდნენ მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ. თათბირებზე ანალიზი გაუკეთეს ომის ყველა მსოფლიო ასპარეზზე შექმნილ მდგომარეობას და გამოვლინებულ იქნა ყველა რესურსი იმ მიზნით, რომ უფრო ინტენსიურად იქნას წარმოებული ომი ზღვაში, ხმელეთზე და ჰაერში. წინათ არასოდეს არ ყოფილა ესოდენ ხანგრძლივი თათბირი ორ მოკავშირეს შორის. ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებსა და მათ შესაბამის შტაბებს შორის მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება სამხედრო გეგმათა და ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას 1943 წლის კამპანიის დროს გერმანიის, იტალიისა და იაპონიის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ ყველაზე დიდი სარგებლიანობით გამოყენებულ იქნას აშკარა ხელსაყრელი გარდატეხა, რაც მოვლენებში მოხდა 1942 წლის დამლევს.

პრემიერი სტალინი სულით და გულით იქნა მიწვეული, რომ შეხვედროდა პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, ამასთან ასეთ შემთხვევაში შეხვედრა მოხდებოდა გაცილებით უფრო შორს აღმოსავლეთში. მაგრამ სტალინმა ვერ დასტოვა რუსეთი ამჟამად დიდ შეტევასთან დაკავშირებით, რასაც იგი ჰარადად ხელმძღვანელობს როგორც უმაღლესი მთავარსარდალი. პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შეგნებული აქვთ, თუ ომის რა უდიდესი სიმძიმე გადააქვს წარმატებით რუსეთის მთელს ხმელეთის ფრონტზე, და მათი ძირითადი მიზანი ომში მდგომარეობდა, რომ მოაშორონ რუსეთს ომ ტვირთის რაც შეიძლება მეტი ნაწილი, რომელიც აწევთ რუსეთის არმიებს, იმ გზით, რომ რაც შეიძლება უფრო მძიმე ბრძოლაში ჩაბან მოწინააღმდეგე საამისოდ ყველაზე მეტად შესაფერ რაიონებში. „პრემიერი სტალინი სრულად იყო ინფორმირებული სამხედრო წინადადებების შესახებ.

პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს კავშირი ჰქონდათ დამყარებული გენერალისიმუს ჩან კაი-შისთან. ისინი ინფორმაციას აწვდიდნენ მას იმ ღონისძიებებზე, რასაც ისინი მიმართავენ იმ მიზნით, რომ დახმარება აღმოუჩინონ მას იმ დიდებულ და შეუნელებელ ბრძოლაში, რომელსაც ჩინეთი ეწევა საერთო საქმისათვის. პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრამ შესაძლებელი გახადა გენერალ ეიროს მოწვევა იმ მიზნით, რომ მოთათბირებოდა შტაბების უფროსთა გაერთიანებულ ჯგუფს და მოწყობილი ყოფილიყო მისი შეხვედრა გენერალ დე გოლთან. ორივე გენერალმა დაწერილებით მოითათბირა ერთმანეთთან.

პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფი, დაამთავრეს რა თავიანთი გეგმების შემუშავება 1943 წლის შეტევითი კამპანიებისათვის, ახლა წავიდ-წამოვიდნენ, რათა აქტიურად და შეთანხმებულად შეასრულონ ეს გეგმები.

დათარიღებულია 1943 წლის 24 იანვრით".

გენერალ დე გოლის შეხვედრა გენერალ ჟიროსთან

ლონდონი, 27 იანვარი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში მოხდა გენერალ დე გოლის პირველი შეხვედრა გენერალ ჟიროსთან. შეხვედრის შემდეგ გაკეთებულ იქნა შემდეგი ერთობლივი განცხადება:

„მოხდა ჩვენი შეხვედრა, ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები. ჩვენ აღინიშნეთ ჩვენი სრული თანხმობა იმ მიზნის მიღწევისათვის, რომელიც შდგომარეობს საფრანგეთის განთავისუფლებაში და ადამიანის თავისუფლებათა ზეიმში მტრის სრული განადგურების შედეგად. ეს მიზანი მიღწეულ იქნება ყველა იმ ფრანგის ომში გაერთიანების შედეგად, რომლებიც თავისი მოკავშირეების მხარდამხარ იბრძვიან".

ლონდონში დაბრუნების შემდეგ გენერალმა დე გოლმა ალჟირში პრეზიდენტ რუზველტთან შეხვედრის შესახებ განაცხადა: „რუზველტის მეგობრული დამოკიდებულება საფრანგეთისადმი განსაკუთრებით მანუგეშებელია იმ ბრძოლაში, რომელსაც ფრანგი ხალხი ეწევა მტრის წინააღმდეგ როგორც თავის ტერიტორიაზე, ისე მის საზღვრებს გარეთ. მე ასეთივე კმაყოფილება განვიცადე, მივიღე რა საშუალება განმეახლებინა ამ შემთხვევის გამო მოლაპარაკება ინგლისის პრემიერ-მინისტრთან".

„ამერიკული ჟურნალი წითელი არმიის შეგვევის მნიშვნელობის შესახებ

ნიუ-იორკი, 26 იანვარი (საკდესი). ჟურნალმა „ნიუ რიპაბლიკმა" მოთავსება ცნობილ სამხედრო მიმომხილველ ვერნერის სტატია, რომელიც მიძღვნილია ომის პერსპექტივებისადმი წითელი არმიის შეტევასთან დაკავშირებით.

ავტორი სწერს, რომ წითელი არმიის შეტევამ უდიდესი დახმარება გაუწია გაერთიანებული ქვეყნების სტრატეგიას და მის წინაშე გადაშალა ახალი პერსპექტივები 1943 წელს. წითელი არმიის მიერ წარმოებულმა შეტევამ ცხადჰყო მისი საბრძოლო ძლიერება. ეს შეტევა სწარმოებს წითელი არმიის ძალების ნამდვილი ურთიერთმოქმედებით, წითელი არმიისა, რომელმაც დაგვანახვა თავისი უნარი განახორციელოს დიდი ოპერაციები, რასაც მიზნად აქვს მტრის დიდი ძალების დამარცხება და მოსპობა. ამ შეტევამ გვიჩვენა აგრეთვე რუსების სტრატეგიული გეგმიანობის შორსმჭვრეტელობა და საფუძვლიანობა.

„ჯერჯერობით, — სწერს შემდეგ ავტორი, — საბჭოთა კავშირი ზამთრის შეტევის ფაქტიურად მარტო ეწევა იმ მცირე დახმარების არსებობისას, რასაც მოკავშირეები ჩრდილოეთ აფრიკაში ოპერაციების სახით ეწევიან. 1942 წლის განმავლობაში წითელმა არმიამ ჭარბად შეასრულა თავისი ვალდებულებანი, როგორც მოკავშირემ. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რუსების შეტევის უდიდესი შედეგი, თუ იმავე დროს დაწყებული იქნება მოკავშირეთა შეტევა ევროპის კონტინენტზე".

მოკავშირეთა სტრატეგიული ამოცანა ევროპაში, აღნიშნავს ვერნერი, იმაში მდგომარეობს, რომ არ მივცეთ გერმანიას საშუალება წელში გასწორდეს ნაგებები დარტყმისგან, და იმაში, რომ თავი მოვუყაროთ ყველა არსებულ ძალებს დიდი შეტევის მოსაწყობად.

„აუნერელია საბჭოთა ჯარების გმირობა, მათი დარტყმების ძალა, მათი შეიარაღების ძლიერება, ხელმძღვანელობის ოსტატობა"

ინგლისური გაზეთები წითელი არმიის შეტევის შესახებ

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). გაზეთ „სანდი ტაიმსის" მიმომხილველი სტრუტეიტერი კომენტარს უკეთებს მდგომარეობას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და სწერს, რომ წითელმა არმიამ მოახერხა ესარგებლა გერმანელთა კომუნიკაციების გაგრძელების შედეგად შემოდგომაზე შექმნილი ხელსაყრელი შესაძლებლობით. უნარიანად გადასწყვეტა ჯარების გადაყვანისა და მომარაგების პრობლემები, რომლებიც ესოდენ ძნელია თანამედროვე შეიარაღების ხირთულის გამო.

„რუსების მიერ ნაპოვნი სტრატეგიული გადაწყვეტილებანი, — სწერს ავტორი, — განსაცვიფრებლად ეფექტიანი აღმოჩნდა".

გაზეთმა „სანდი ექსპრესმა" მოათავსა სტატია ჰარვინისა, რომელიც სწერს: „აუწერელია საბჭოთა ჯარების გმირობა, მათი დარტყმების ძალა, მათი შეიარაღების ძლიერება, სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმის გულდასმით შემუშავება და ხელმძღვანელობის ოსტატობა თავიდან ბოლომდე. წითელი არმიის მთელი ეს კოლოსალური შეტევა, რომელიც ვითარდება 1.000-ზე მეტ მილ სიგრძის ფრონტზე, შთაგონებული და ორგანიზებული იყო სტალინისა და მისი ბრწყინვალე სამხედრო თანაშემწეების მიერ. ამაში იფარება წითელი არმიის წარმატების ძირითადი საიდუმლოება".

შემდეგ ჰარვინი აღნიშნავს, რომ წითელი არმიის შეტევამ წელს შეჰქმნა უდიდესი შესაძლებლობა მოკავშირეთა ოპერაციებისათვის. „ჩვენ უკვე ვიღარ გავბედავთ შემდეგში, — სწერს ავტორი,—დამოკიდებული ვიყოთ საბჭოელთაგან რუსებზე უფრო მეტად, ვიდრე ჩვენს თავზე. რუსეთის დასავლეთელმა მოკავშირეებმა უნდა უზრუნველჰყონ 1943 წელს შექმნილ შესაძლებლობათა გამოყენება ღონისძიებათა უაღრესად დაძაბვის გზით".

ჰარვინი სწერს, რომ 1943 წელს წარმატების უზრუნველყოფის თითქმის ერთადერთი საშუალება ის არის, რომ, შევუთანხმებთ რა ჩვენს მოქმედებას საბჭოთა კავშირისას, მზად ვიყოთ ორ ფრონტზე ომისათვის ჰიტლერიზმის წინააღმდეგ, სანამ გაზაფხული დამთავრდებოდეს. აფრიკა ბაზაა, ხმელთაშუა ზღვა—გზა, ევროპა—მიზანი. გამარჯვების მოპოვება შეიძლება მხოლოდ კოლოსალური ძალების გამოყენებით ხმელეთზე, ზღვაში და ჰაერში. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ეს.

გაზეთი „რეინოლდს ნიუსი" მოწონებას სტატიაში სწერს, რომ „ჰიტლერი ისწრაფვის რაც შეიძლება მეტი ვადით შეაჩეროს ინგლისის პირველი და მერვე არმიის მოქმედება ტუნისში, რათა დრო მოიგოს თავდაცვის განსამტკიცებლად ევროპის კონტინენტზე მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობის წინააღმდეგ. ამიტომ, მოკავშირეთა სტრატეგიის პირველი რიგის ამოცანა ის არის, რომ შეტევა მოაწყოს ევროპის კონტინენტზე დასავლეთიდან 1943 წლის დადგეს. ჩრდილოეთ აფრიკაში წარმოებული ბრძოლა უფრო გაფფრიებული ბრძოლებისა და უფრო დიდ გამარჯვებათა შესავალია".

გაფიცვები ლუქსემბურგის მეგალურგიულ ქარხნებში

ნიუ-იორკი, 27 იანვარი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, 23 იანვრიდან დაწყებული ლუქსემბურგში გაფიცულია მეტალურგიული ქარხნების ათასობით მუშა სამუშაო დღის ახალი გახანგრძლივების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად; სამუშაო დღის გახანგრძლივება შემოღებულია იმ მიზნით, რათა გააძლიერონ ამ ქარხნების პროდუქციების მიწოდება გერმანიისათვის.

დაპატიმრებულია რამდენიმე ასეული მუშა.

„საბჭოთა ჯარების დარტყმა კავკასის (ქ. ორჯონიკიძის) მისადგომებთან"



თბილისის კინოსტუდიის ჭრონიკალურ სექტორმა გადაიღო საინტერესო დოკუმენტური ფილმი [illegible] (ქ. ორჯონიკიძის) მისადგომებთან. ფილმი [illegible] ბრძოლებზე, [illegible] ბრძოლებზე [illegible] ბრძოლებზე [illegible] ბრძოლებზე